სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N129

ქალაქი ბათუმი 13 დეკემბერი 2016 წ

ერთის მხრივ, ა(ა) ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თამარ მესხიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პრინტ-ოფისი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ვლადისლავ ფანტალისის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში; ·

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულებისსაგანი

2.1. **ხელშეკრულების საგანია:** მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ტექნიკურ–შემოქმედებითი განყოფილებისათვის 7 ცალი შავთეთრი 1,2*0,9მ პროექტის შესყიდვა (CPV22400000).

2.2 დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს:** 105 (ასხუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2016 წლის 20 დეკემბრამდე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია სასახლის დირექტორი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე.

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნების მიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმშემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლებააქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არცერთმხარესარააქვსუფლებაგადასცესმესამეპირსთავისიუფლებებიდამოვალეობები, მეორემხარისწერილობითითანხმობისგარეშე.

მესამეპირებთანურთიერთობაშიმხარეებიმოქმედებენთავიანთისახელით, ხარჯებითადარისკით.

14.4. ხელშეკრულებადადებულიასაქართველოსკანონმდებლობისშესაბამისადდაინტერპრეტირებული იქნებასაქართველოსკანონმდებლობისმიხედვით.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორემხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ანფაქსისსახით, ორიგინალის შემდგომიწარდგენით,ხელშეკრულებაშიმითითებულიმეორემხარისმისამართზე. შეტყობინება ძალაშიშედისადრესატისმიერმისიმიღებისდღესანშეტყობინებისძალაშიშესვლისდადგენილდღეს, იმისმიხედვით, თუამთარიღებიდანრომელიუფროგვიანდგება.

14.6. ხელშეკრულებადამასთანდაკავშირებულიმთელიწერილობითიმოლაპარაკებებიდასხვადოკუმენ ტაცია, რომელიცგაიცვლებამხარეთაშორისშესრულდებაქართულენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2017 წლის 25 იანვრამდე.

16. მხარეთარეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა.ა.ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე
6000, საქართველო, ქალაქიბათუმი
გამსახურდიას ქუჩა N37
ს/კ 445 404 820

თამარ მესხიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „შპს პრინტ-ოფისი"
საქართველო, ბათუმი
ზ. გორგილაძის #ქ.20
ს/კ 445 389 892
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდიMIBGGE22
ა/ანGE52PC0343600100015953

ვლადისლავ ფანტალის
დირექტორი